

როგორ ვრცელდება წამლის მიმართ რეზისტენტული მიკრობები


როგორ ვრცელდება წამლის მიმართ რეზისტენტული მიკრობები მიკრობებს, როგორცაა ბაქტერიები და სოკოები, შეუძლიათ განავითარონ მათ გასანადგურებლად განკუთვნილი წამლების მიმართ რეზისტენტობის უნარი. ამ მიკრობებს შეუძლიათ გამოიწვიონ წამლის მიმართ რეზისტენტული ინფექციები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ნებისმიერ ადამიანზე, ნებისმიერ ადგილას, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე ჯანდაცვის, ვეტერინარიისა და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიებზე. წამლის მიმართ რეზისტენტული ინფექციები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის გადაუდებელ საფრთხეს წარმოადგენს.

1 მიკრობები (ბაქტერიები და სოკოები) ყველგან არიან. ზოგი გვეხმარება. ზოგი იწვევს დაავადებებს ადამიანებში, მოსავალში ან ცხოველებში.

2 ანტიბიოტიკები და სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები კლავს ინფექციების გამომწვევ მიკრობებს, მაგრამ წამლის მიმართ რეზისტენტული მიკრობები პოულობენ გადარჩენის გზებს.




3 წამლის მიმართ რეზისტენტულ მიკრობებს შეუძლიათ გამრავლება. ზოგიერთ რეზისტენტულ მიკრობს ასევე შეუძლია თავისი რეზისტენტობა პირდაპირ სხვა მიკრობებს გადასცეს.



5 როგორც კი ჩნდება წამლის მიმართ რეზისტენტული მიკრობები, მათ მაშინვე შეუძლიათ გავრცელდნენ ახალ გარემოში და მთელ მსოფლიოში.

4 ანტიბიოტიკები და სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები ანადგურებენ ჩვენს დამცველ მიკრობებს. სასარგებლო მიკრობების გარეშე, წამლის მიმართ რეზისტენტულ მიკრობებს კიდევ უფრო დიდი უპირატესობა აქვთ.



დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: <https://bit.ly/42FMFU4>



Revised April 2025